

„ვეფხისტყაოსნის“ შეფასება ევროპულ ლიტერატურათმცოდნეობაში *

ელგუჯა ხინთიბიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი*

რეზიუმე

სტატიაში განხილულია რუსთაველის პოეტური შედევრის „ვეფხისტყაოსნის“ მიღებისა და შეფასების ეტაპები ევროპულ ლიტერატურათმცოდნეობაში. ავტორი აჩვენებს, რომ პოემის სათანადოდ აღქმის პროცესს დასავლეთში მრავალი სირთულე ახლდა ენობრივი ბარიერის, აღმოსავლური სტილისა და კულტურული განსხვავებების გამო.

საკვანძო სიტყვები: რუსთაველი; „ვეფხისტყაოსანი“; ევროპული ქართველოლოგია; ლიტერატურათმცოდნეობა; მსოფლიო ლიტერატურა; შუა საუკუნეები.

* წინამდებარე სტატია პირველად გამოქვეყნდა ინგლისურ ენაზე [„Georgian Literature in the Eyes of a Foreign Kartvelologist“, The Kartvelologist, Autumn 1998, No. 5] და წარმოადგენს მის გადამუშავებულ და ნაწილობრივ შეცვლილ ვერსიას, რომელიც ხელმეორედ იბეჭდება [პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ქართველოლოგის“ მე-10 ნომერში, 2000 წელს].

ჩვენამდე მოღწეული ცნობების თანახმად, „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ხალხისათვის ყოველთვის ითვლებოდა მაღალი პოეტური და ბრძნული აზროვნების ნიმუშად. ამას მოწმობენ XV საუკუნის დასაწყისიდან ხელნაწერთა აშიებზე თუ მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებზე შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული სტროფების მინაწერები; ქართველ მწერალთა გამონათქვამები რუსთაველზე; და ისიც, რომ XV საუკუნიდან XVII საუკუნის ჩათვლით მთელი ქართული პოეზია პოეტური ხელოვნებით (სალექსო ზომით, ჟანრობრივი თავისებურებებით, მხატვრული სახეებით) რუსთაველის მიბაძვაა. როგორ იყო რუსთაველის შემოქმედება გასულ საუკუნეებში მიღებული და შეფასებული საზღვარგარეთ, კერძოდ, დასავლეთევროპულ ლიტერატურათმცოდნეობაში, და როგორია მისდამი დამოკიდებულება ჩვენი თანამედროვე უცხოელი ქართველოლოგებისა? ამ კითხვის დასმა შესაძლებელი ხდება იმ დიდი მუშაობის შემდეგ, რაც ევროპული ლიტერატურათმცოდნეობის შესასწავლად ჩაატარეს ქართველმა მეცნიერებმა. აქ უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსთაველის კაბინეტის მიერ გამოცემული ოთხტომეული „რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში“ (პროფ. ლ. მენაბდის რედაქციით, 1975-84 წწ.). არსებითი მაინც ის მრავალწლიანი მუშაობაა, რაც ჩატარდა ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ქართველოლოგიური ცენტრის ბაზაზე შესაქმნელად მონოგრაფიისა „ქართული

ლიტერატურის შესწავლა ევროპაში“ სათანადო ბიბლიოგრაფიებითურთ.

ევროპული ლიტერატურათმცოდნეობისათვის არ იყო ადვილი „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლიო ლიტერატურის შედევრად აღიარება. ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. რუსთაველის სახელი XIX საუკუნემდე საერთოდ უცნობი იყო ევროპისათვის. მისი პოემა ასე თუ ისე მისაწვდომი ევროპელი ლიტერატურათმცოდნეებისათვის XIX საუკუნის დამლევებიდან გახდა (არტურ ლაისტისა და მარჯორი უორდროპის თარგმანების შემდეგ). ბუნებრივია, რომ თარგმანი ვერ იძლევა სრულ წარმოდგენას იმ მაღალ მხატვრულ ოსტატობასა და პოეტურ სამყაროზე, რაც ყველაზე არსებითია რუსთაველის პოეზიაში.

ასევე რთული აღმოჩნდა ლიტერატურათმცოდნეებისათვის აღმოსავლური ტრადიციების ფონზე შექმნილი შუასაუკუნეების რომანში იმთავითვე ამოკითხულიყო ის შუასაუკუნეობრივი ქრისტიანული და რენესანსული ზოგადსაქაცობრიო იდეალები, რაც ქმნის რუსთაველის აზროვნების თავისთავადობას. ამიტომაც, რომ ზოგი ევროპელი ლიტერატორის ნაწერებში შეუფასებლობა რუსთაველის პოეტური გენიისა აშკარად იგრძნობა. ზოგჯერ ეს მომენტი არა თუ საგრძნობია, არამედ „ვეფხისტყაოსნისადმი“ მიძღვნილი ნარკვევის ძირითადი იდეაა. ასე მაგალითად, 1886 წელს ქ. თბილისში რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ ფრანგულ ენაზე ნარკვევს აქვეყნებს სახალხო განათლების ოფიცერი ჟ. მურიე. მისი ნარკვევი მეორედ გამოქვეყნდა პარიზში 1887 წელს, ხოლო მესამედ ბრიუსელში 1910 წელს. ჟ. მურიეს ნაშრომი მეცნიერულ ღირებულებას მოკლებულია. იგი ყურმოკრული

გადმოცემებით შედგენილი რუსთაველის ბიოგრაფიით იწყება და მთავრდება ასევე ყურმოკრული ჭორით „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების მტკვარში გადაყრის შესახებ. მაგრამ მნიშვნელოვანი ის არის, რომ ავტორი არ ფარავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას პოემის შინაარსობრივი და მორალური სამყაროსადმი. უკვირს, რატომ მოსწონთ ქართველებს ასე ძლიერ რუსთაველი და რატომ ცდილობენ თარგმნონ იგი ფრანგულად. ამით ხომ ფრანგებს დაანახებენ „ვეფხისტყაოსნის“ ქების უსაფუძვლობას?! ჟ. მურიეს აღიზიანებს პოემის ტიპაჟი: ტარიელის გახელება, ავთანდილის „სიცივე და ცბიერება“, ნესტანის „დაუნდობლობა“, ფატმანის მსუბუქი ყოფაქცევა. გამოკვლევის ავტორს არ მოსწონს პოემის პიპერბოლიზებული ტონი, სიუჟეტის განვითარების აღმოსავლური სტილი. ასე რომ, მურიეს შეხედულებები არის ევროპელი მკითხველის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის გაცნობის შედეგად XIX საუკუნის ევროპული რომანის ფონზე შექმნილი სუბიექტური შთაბეჭდილებანი. ჟ. მურიე ვერ უცქერის პოემას მკვლევარი-ფილოლოგის პოზიციიდან: არ ფიქრობს შუასაუკუნეების პრობლემატიკაზე, არ იცნობს აღმოსავლურ პოეტურ სტილს და სხვა. მაგრამ ბუნებრივია, რომ დაახლოებით ამგვარი უნდა ყოფილიყო ევროპელი მკითხველის პირველი შთაბეჭდილებანი „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის გაცნობისას, სანამ ეს შთაბეჭდილებანი არ ამაღლდებოდა პოემის ისტორიზმის პრინციპით შესწავლამდე.

ჟ. მურიეს შეხედულებები არაა აბსოლუტური გამონაკლისი. ევროპულ ლიტერატურათმცოდნეობაში ჩანს, მართალია უფრო თავშეკავებული, მაგრამ მაინც სკეპტიკური დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსნის“ მაღალი

იდეური და მხატვრული სამყაროსადმი. გერმანელი მეცნიერი ი. შერი ერთ-ერთი პირველია, რომელსაც ქართული კულტურის მიმოხილვა შეაქვს მსოფლიოს ლიტერატურის ისტორიის კურსში (შტუდგარტი, 1899). იგი აქსენებს რუსთაველს, რომელიც თამარის სამეფო კარის პოეტია. მან შექმნა რომანტიკული ეპოსი, რომელიც, ი. შერის სიტყვებით თუ ვიტყვით, „რა თქმა უნდა, დიდი საზომით არ უნდა იქნეს გაზომილი“.

ამგვარი კომენტირება „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი იდეის ან ცალკეული პასაჟებისა არ შეიძლება აიხსნას რუსთაველის შემოქმედებისადმი არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულებით. ამ დებულების საუკეთესო დამადასტურებელია ოლივერ უორდროპი, რუსთაველისა და ქართული ფენომენის საოცარი თაყვანისმცემელი, რომელმაც თავისი ეს უზომო მოწიწება „ვეფხისტყაოსნისადმი“ საკუთარ დასთან მარჯორისთან ერთად მთელი თავისი შემოქმედებითა და ცხოვრებით დაადასტურა და რომელსაც რუსთაველზე 1938 წელს სორბონში რუსთაველისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე წარმოთქმული სიტყვის მონახაზში ჩაუწერია: „ორმოცდაათზე მეტი წლის წინათ, შაბათს, 19 თებერვალს, 1887 წელს, როდესაც მე ვიხილე პოეტის [რუსთაველის - ე. ხ.] პორტრეტი წმინდა ჯვრის მონასტერში იერუსალიმის მახლობლად, ძალიან მცირე წარმოდგენა მქონდა, თუ როგორ დიდ როლს ითამაშებდა იგი ჩემს ცხოვრებაში, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მე უფრო მეტი დრო მოვახმარე მისი პოემის კითხვას, ვიდრე რომელიმე სხვა პოემისა და ერთმა ჩემმა უახლოესმა ნათესავმა [მარჯორი უორდროპმა — ე. ხ.] მთელი სიცოცხლე მიუძღვნა, რომ შემოეტანა მისი ნაშრომი ინგლისელი მკითხველის ცნობიერებაში“ (ბოდლის

ბიბლიოთეკა, უორდროპის ფონდი – d. 39). ო. უორდროპი მარჯორი უორდროპის თარგმანის პირველი გამოცემის წინასიტყვაობად დართულ თავისი მაღალი ლიტერატურული კულტურითა და პოემის ბრწყინვალე ცოდნით შესრულებულ ნაშრომში დაუფარავად წერს, რომ ინგლისელი მკითხველი ვერ აღიქვამს რუსთველისეულ პიპერბოლურობას პოემის გმირთა გაყრით გამოწვეული ნაცველის აღწერისას და გმირთა სილამაზის ასტრალური მეტაფორებით გადმოცემისას. თუმცა ინგლისელ კრიტიკოსს თვითონვე აქვს შენიშნული, რომ სულიერ მღელვარებათა გადაჭარბებებით გამომხატვა თვით დასავლეთევეროპულ და კერძოდ ინგლისურ ლიტერატურას მეტვრამეტე საუკუნის ჩათვლით ახასიათებდა. აქვე მკვლევარი საჭიროდ მიიჩნევს შენიშნოს, რომ მორალური პოზიციიდან მიუღებელია პოემის გმირთა მოქმედების რამდენიმე ეპიზოდი, კერძოდ, ავთანდილისაგან ჭაშნაგირის მოკვლა, ფატმანთან გამიჯნურება და ტარიელის მიერ სასიძოს მოკვლა. ცდილობს მიიჩნიოს ისინი სიუჟეტის განვითარებისათვის აუცილებელ ელემენტებად. ო. უორდროპის ამ უაღრესად საინტერესო მსჯელობაში ორი მომენტი მნიშვნელოვანი: მკვლევარი მიუთითებს, რომ იგი მსჯელობს თავისი თანამედროვე ინგლისელი მკითხველის პოზიციიდან, და აღნიშნავს, რომ რუსთველისეული პიპერბოლური სტილი საზოგადოდ დამახასიათებელია ძველი ლიტერატურისათვის.

სხვა უცხოელი მკვლევარები რუსთველის შემოქმედებაზე გამოთქმული შენიშვნების ახსნას არ ცდილობენ. გერმანელი მკვლევარი ფ. ბორკი (ლაიპციგი, 1915), ისევე როგორც ფრანგი ჟ. მურიე, „ვეფხისტყაოსანს“ აფასებს თავისი თანამედროვე ლიტერატურული სტილის

პოზიციიდან. მას არ მოსწონს, რომ პოემის გმირები იდეალიზებულნი არიან და არა სინამდვილიდან აღებულნი. მისი აზრით, რუსთაველი არაა მოაზროვნე პოეტი და ამდენად, პოემაში ღრმა აზრები არ უნდა ვეძიოთ.

გარდატეხა რუსთაველის მიმართ ევროპულ მკვლევართა დამოკიდებულებაში მალე მოხდა. რუსთაველის პოემის შეფასებაში ცვლილებები შეინიშნება თვით ერთი მკვლევარის შემოქმედებითი პროცესის ფარგლებშიც. ასე მაგალითად, ცნობილი ქართველოლოგი გ. დეეტერსი თანდათანობით წვდება „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ-იდეურ სამყაროს. 1937 წელს შ. ნუცუბიძის მონოგრაფიის „რუსთაველის მსოფლმხედველობისათვის“ განხილვისას იგი ხედავს რუსთაველის პოემის სიდიდეს, მაგრამ ამჯობინებს იყოს ზომიერი მის შეფასებაში და წინააღმდეგია მისი მოხსენიებისა მსოფლიო ლიტერატურის უდიდეს წარმომადგენელთა, კერძოდ დანტეს გვერდით. გ. დეეტერსის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ფორმა, მისი გამომსახველობითი მხარე ძალზე მაღალია, მაგრამ მას ჩამორჩება პოემის იდეური სამყარო. ეს თვალსაზრისი, თუმცა ცოტა უფრო მოკრძალებით, მკვლევარმა გაიმეორა 1958 წელს „ვეფხისტყაოსნის“ ჰუგო ჰუპერტისეული გერმანული თარგმანის განხილვისას. მაგრამ 1963 წელს გამოცემულ უკანასკნელ ნარკვევში ქართულ ლიტერატურაზე იგი უკვე ლაპარაკობს ქართულ ნაციონალურ ეპოსზე და რუსთაველის პოემაზე ბევრად მითითებული შენიშვნების გარეშე.

ევროპულმა ქართველოლოგიამ შეძლო რუსთაველის დიდი პოეტური ხელოვნების სათანადოდ დანახვა, სწორად გააზრება და შეფასება. ნიშანდობლივია, რომ რუსთაველის მაღალი პოეტური სამყაროს სათანადოდ აღქმა, მისი იდეურ-

მხატვრული შემოქმედების სწორი შეფასება ევროპულ ქართველოლოგიაში თავდაპირველად „ვეფხისტყაოსნის“ უცხოურად მთარგმნელებმა შეძლეს. სწორედ მათ, ვინც ორიგინალში შეისწავლა პოემა და მისი მშობლიურ ენაზე ამეტყველება სცადა. ამ მიმართულებით ძალზე მნიშვნელოვანია რუსთაველის პოემის პირველი *ევროპელი* მკვლევარისა და მთარგმნელის მარი ბროსეს დამსახურება. ფრანგი ქართველოლოგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეცნიერულად ამუშავებს რუსთველოლოგიურ პრობლემატიკას და „ვეფხისტყაოსანს“ მიიჩნევს ევროპული ლიტერატურის ერთ-ერთ საუკეთესო ქმნილებად. ბერტა და არტურ ზუტნერების მიერ რუსთაველის პოემის ტექსტის თარგმნაზე მუშაობას თან მოჰყვა ა. ზუტნერის გამოკვლევა „უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე“ (1884 წ.). მკვლევარი რუსთაველს თვლის ევროპაში რომანის ჟანრის დამწყებად. პოემის გერმანულ ენაზე მთარგმნელი ა. ლაისტი პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში პარალელს ავლებს რუსთაველის თანამედროვე ევროპულ სარაინდო ეპოსთან, კერძოდ, ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალთან“ და იმასაც შენიშნავს, რომ რუსთაველი ეშენბახთან შედარებით უფრო თავისუფალია რელიგიური ჩარჩოებისაგან. ასევე ნათლად ჰქონდა გააზრებული რუსთაველის პოემის სიდიადე „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ინგლისური თარგმანის ავტორს, მარჯორი უორდროპს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მან თავის ძმასთან, ოლივერ უორდროპთან ერთად რუსთაველის პოემის ზოგადსაკაცობრიო იდეალებით შთააგონა რუსი პოეტი კონსტანტინე ბალმონტი იმდენად, რომ ამ უკანასკნელმა შეასრულა „ვეფხისტყაოსნის“ ბრწყინვალე რუსული თარგმანი და უძღვნა მას შესანიშნავი გამოკვლევა „დიდი იტალიელები

და რუსთაველი", რომელშიც პირველად გაივლო მეცნიერული პარალელები რუსთაველის შემოქმედებასა და იტალიური რენესანსის დიდ წარმომადგენლების შორის (პარიზი, 1933 წ.). პომის როგორც იდეურ-მინაარსობრივი სიღრმე, ასევე მაღალი მხატვრული ოსტატობა სათანადოდაა შეფასებული ა. ბაუმგარტნერის „მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის" ორტომეულში ჯერ კიდევ 1897 წელს. ა. ბაუმშტარკი თავის „ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიტერატურაში" (1911 წ.) გარკვევით აცხადებს, რომ რუსთაველის ბადალი მთელი აღმოსავლეთის ქრისტიანულ ლიტერატურაში არ მოიპოვება. რუსთაველის შემოქმედების განხილვას მსოფლიო ლიტერატურის პროცესის ფონზე ცდილობს გერმანელი მკვლევარი ქალი რ. მილერ-ბუდნიცკაია. იგი აქვეყნებს ვრცელ გამოკვლევას „ვეფხისტყაოსანზე" სათაურით „შოთა რუსთაველი - ქართველი დანტე". რუსთაველის ეპოქას იგი ქართული რენესანსის ეპოქად აცხადებს (მოსკოვი, 1937 წ.). რ. ბლაიხშტაინერი „ვეფხისტყაოსანს" თვლის არა მარტო ქართული მწერლობის შედეგად, არამედ მსოფლიო ლიტერატურის დიდ მოვლენად (ვენა, 1950). რუსთაველს ადრე რენესანსის ეპოქის კლასიკოსს უწოდებს „ვეფხისტყაოსნის" გერმანულ ენაზე მთარგმნელი ჰუგო ჰუპერტი (ბერლინი, 1955).

ევროპულ ქართველოლოგიაში რუსთაველის შემოქმედების შესწავლაში ახალ ეტაპს ქმნის ინგლისელი ლიტერატურათმცოდნე მორის ბაურა. იგი „ვეფხისტყაოსანს" იხილავს აღმოსავლური და დასავლური ლიტერატურის კონტექსტში, მსოფლიო ლიტერატურების შედეგების ფონზე (ლონდონი, 1955 წ.). ამ მიმართულებით იგი აგრძელებს კ. კარსტის ცდებს, რომელიც რუსთაველის

პარალელებს ეძიებს არისტოსა და ტასოს, დანტესა და ბონავენტურას, ვოლფრამ ფონ ეშენბახის შემოქმედებებში. თუმცა ამავე დროს ხედავს რუსთაველის თავისთავადობას და განსხვავებას მათგან (პარიზი, 1934). რუსთაველის თავისთავადობის აქცენტირება აქცია თავისი კვლევის საგნად რ. სტივენსონმა, უპირატესად არისტოსთან მიმართებაში.

საზღვარგარეთულ რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში თანმიმდევრულად აისახება „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის მდგომარეობა საქართველოში. ასე მაგალითად: მ. ბაურას გამოკვლევა „ვეფხისტყაოსანზე“ ეფუძნება შ. ნუცუბიძის თვალსაზრისს, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ ნეოპლატონურ ფილოსოფიასა და პანთეისტურ ელემენტებს ხედავდა. ჩვენი საუკუნის 60-იანი წლების დამლევს საზღვარგარეთულ ლიტერატურაში რუსთაველის შესახებ გამოჩნდა ის ახალი ტენდენციები, რაც 60-იან წლებში ჩაისახა ქართულ რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში. კერძოდ, რუსთაველის მსოფლმხედველობის ძირების მიმართება XII საუკუნის სქოლასტიკური აზროვნების განვითარებასთან. დანახვა პოემაში, ერთი მხრივ, ქრისტიანული და ისლამური კულტურების და მეორე მხრივ, თეოლოგიურ და ანტიკურ აზროვნებათა მიმართებებისა. ეს ახლებური პოზიცია კარგად ჩანს კირილ თუმანოვის გამოკვლევაში „ვეფხისტყაოსანზე“, რომელიც შესავლის სახით ერთვის თეიმურაზ ბაგრატიონის 1968 წელს ნიუ-იორკში გამოცემულ ბროშურას შოთა რუსთაველზე.

თანამედროვე დასავლურ ლიტერატურათმცოდნეობაში შეინიშნება, რომ რუსთაველის პოემაზე წერენ არა მხოლოდ

ქართველოლოგები და ქართული ლიტერატურით დაინტერესებული უცხოელი მეცნიერები, არამედ საზოგადოდ ევროპული ლიტერატურის პროცესის მკვლევარნი. ამ მხრივ აღსანიშნავია ამერიკელი მეცნიერის გ. კ. ბეინენის სტატია „შოთა რუსთაველი და კურტუაზული სიყვარულის სტრუქტურა“, წარმოდგენილი კურტუაზული ლიტერატურის საერთაშორისო საზოგადოების მერვე კონგრესზე ბელფასტში 1995 წელს. გ. კ. ბეინენის აზრით, რუსთაველის პოემის (რომელიც, მისი სიტყვით, „უდავოდ შედევრია“: "the poem is undoubtedly a masterpiece") სარაინდო სიყვარულის სტრუქტურა კურტუაზული ლიტერატურის განვითარების უმაღლეს ეტაპს შეესაბამება.

უახლეს ევროპულ ლიტერატურათმცოდნეობაში გრძელდება რუსთაველის შემოქმედების შეფასების აღმავალი ხაზი. ამ მხრივ საგანგებო აღნიშვნის ღირსია 1994 წელს ოქსფორდში გამოცემული დონალდ რეიფილდის წიგნი „საქართველოს ლიტერატურა. ისტორია“. საზოგადოდ ეს წიგნი უცხოელის მიერ ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი პროცესის ერთ მთლიანობაში გააზრებისა და განხილვის ერთი საუკეთესო ცდაა. მრავალმხრივია საინტერესო მონოგრაფიის ბევრი ქვეთავი. მათ შორის საუკეთესო მათგანია ძველი ქართული სასულიერო ლირიკის - ჰიმნოგრაფიის მიმოხილვა. ავტორი არა მარტო ახლებურად მსჯელობს უმდიდრეს ქართულ სასულიერო პოეზიაზე, არამედ ძველი ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის საუკეთესო ნიმუშების საკუთარ პოეტურ თარგმანებსაც აქვეყნებს. ინგლისელი ავტორი „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემატიკასაც შედარებით სრულად მიმოიხილავს. იგი საუბრობს პოემის სიუჟეტზე, პროლოგში ჩამოყალიბებულ თეორიულ შეხედულებებზე,

ავტორის მსოფლმხედველობასა და რელიგიური პოზიციის ნიუანსებზე, მის ლიტერატურულ წყაროებზე. შენიშნული აქვს ისიც, რომ რუსთაველს თავისი პირველწყაროებიდან უთუოდ განასხვავებს ახალი იდეები და სხვა. ამავე დროს სიმპტომურია, რომ დ. რეიფილდის წიგნში გრძელდება ევროპული ლიტერატურათმცოდნეობისათვის დამახასიათებელი ტენდენცია, რომელიც ცდილობს „ვეფხისტყაოსანი“ გამიჯნოს მსოფლიო ლიტერატურის აღიარებული შედეგებიდან. ამ მიზნით იგი ლაპარაკობს პოემის სიუჟეტის აგებულებისა და პოეტური აზროვნების ექსცენტრულობაზე ("the eccentricities of plotting and thinking..."), მთლიანად თხზულების ეკლექტურობაზე ("eclectic work"). და ბოლოს კი ასკვნის: „ვეფხისტყაოსანი“ უპირველეს ყოვლისა არის ეროვნული და არა საერთაშორისო შედეგრი, რადგან მისი მამოძრავებელი [იდეა, ღერძი – ე. ხ.] არ არის დარწმუნება ადამიანის უსუსურობაში, რითაც გამსჭვალულია დანტე და შექსპირი. და მაინც, რუსთაველის პოემა ქართველებისათვის არის ის, რაც დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ იტალიელებისათვის“.

ძნელია ეკამათო ინგლისელი ქართველოლოგის განცხადებას „ვეფხისტყაოსნის“ ეკლექტიზმზე და მისი სიუჟეტის ექსცენტრულობაზე, ან მიიღო იგი, რადგანაც მკვლევარი არც განმარტავს თავის დებულებებს და არც ასაბუთებს მათ. სხვა სიბრტყეზე შეიძლება იქნეს განხილული დ. რეიფილდის აზრი: „ვეფხისტყაოსანი“ იმიტომ არ არის მსოფლიო ლიტერატურის შედეგრი, რომ მისი მამოძრავებელი ღერძი არ არის რწმენა და აღიარება ადამიანური არსებობის უსუსურობისა. ეს ორიგინალური თვალსაზრისია, რომელიც, ჩემი აზრით, კომენტარს საჭიროებს. შეიძლება კი თავისდათავად მართებული

ფილოსოფიური თეზა ადამიანური ყოფის უსუსურობისა ვაქციოთ კაცობრიობის ლიტერატურული აზროვნების ერთადერთ ქვაკუთხედად და ყველა ეპოქის, რელიგიური პოზიციისა და ფილოსოფიური ორიენტაციის ლიტერატურული ქმნილების შეფასების უმაღლეს კრიტერიუმად ამ თეზის გამოვლენა-არგამოვლენის კომენტირებამდე დავიყვანოთ? ხომ არ არის ამგვარი პოზიციის ძიება ყველა დროის ლიტერატურულ ქმნილებაში ჩვენი სუბიექტური განწყობილებებიდან შეხედვა მსოფლიო ლიტერატურულ შედეგებისადმი? ანდა, უკეთეს შემთხვევაში ხომ არ არის იგი ჩვენი ეპოქის პოზიციიდან შეფასება გარდასული ეპოქათა აზროვნებისა? შეიძლება კი კაცობრიობის მთელი სწრაფვა ყოფნა-არყოფნის საიდუმლოს ამოცნობისა ამ ერთ თეზამდე დავიყვანოთ? შეიძლება კი გამოვრიცხოთ ადამიანური არსებობის უმაღლეს იდეალებიდან ოპტიმიზმი, ბრძოლა უკუღმართი ბედის წინააღმდეგ, შემართება სიცოცხლის, სილამაზის, სიყვარულის გადასარჩენად? ჩემი აზრით, ამ კითხვებზე უარყოფითი პასუხი მხოლოდ სუბიექტური ფაქტორით შეიძლება იქნეს განპირობებული და იგი ადამიანური არსებობის მრავალფეროვნების ფართო სპექტრიდან მიუღებელია. არც ის იქნება მართებული, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ვერ შევნიშნოთ ადამიანის გასაჭირის, ადამიანური ყოფის უსუსურობის ხედვა და პოემის მთელი ფილოსოფიურ-თეოლოგიური კრედიო ბრმა ოპტიმიზმამდე დავიყვანოთ. „ვეფხისტყაოსანში“ ტრადიციული ქრისტიანული იდეალი - კეთილი და მოწყალე შემოქმედის მარადიულობის, სულის უკვდავების და იმქვეყნიურ სამყოფელში ამ უსასრულო ღვთაებასთან შეერთების რწმენა - ჰარმონიულად, წინააღმდეგობების გარეშე, ერწყმის

ამქვეყნიური რეალობის ფასეულობის შემეცნებას, ადამიანური სამყაროს სილამაზეში დარწმუნებას, ადამიანური გონებისადმი ნდობის გამოცხადებას (იხ. ე. ხინთიბიძე, შუასაუკუნეობრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში“, თბ. 1993). ეს შეერთება, ჰარმონია, არ არის ეკლექტიკა. იგი გამოვლენაა ევროპული ცივილიზაციის გარკვეული ეპოქის მსოფლადქმისა. იმ მსოფლადქმისა, რომელიც შესაძლებელია ადამიანური ყოფის უსუსურობის პოზიციიდან ყველაზე მეტად ოპტიმალური იყოს.

და მაინც, ვფიქრობ, რომ ევროპელი ქართველოლოგის თეზა იმის თაობაზე, რომ „ვეფხისტყაოსანი“ უპირველეს ყოვლისა, არის ეროვნულ-ქართული და არა მსოფლიო ლიტერატურული შედეგრი, გარკვეული თვალსაზრისით სწორია. საქმე ის არის, რომ XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული ქართული კულტურისა და აზროვნების ჩამოშორებამდე ევროპული ცივილიზაციის პროცესის მაგისტრალური ხაზიდან, რუსთაველის მაღალი პოეტური და იდეური სამყარო ჩაკეტა შემოზღუდულ ქართულ არეალში. რუსთაველს, დანტესა და შექსპირისაგან განსხვავებით, არ მოუხდენია გავლენა ევროპული აზროვნების განვითარებაზე. ხოლო საკუთრივ ქართული საზოგადოებრივ-ფილოსოფიური და ლიტერატურული აზრი საუკუნეების მანძილზე „ვეფხისტყაოსანით“ იკვებებოდა. ამ თვალსაზრისით არის რუსთაველის პოემა უპირატესად სწორედ ქართული ეროვნული ლიტერატურული შედეგრი.